სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი" (ს/კ 400207049) ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, მდ. ხრამზე გეგმავს „ნახიდური ჰესის" მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას, რასთან დაკავშირებითან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაცემულია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დამატებით გაცნობებთ, რომ პროექტის დეტალურ დიზაინზე მუშაობისას, საჭირო გახდა სხვადასხვა საკითხის დაზუსტება, რაც საბოლოოდ იწვევს პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საპროექტო ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის სკრინინგის ანგარიში და საპროექტო ცვლილებების SHP ფაილები.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდური ჰესის"
დირექტორი

16.03.2023

საქართველო, შპს "ნახიდური ჰესი" 400207049 GEORGIA, "NAKHIDURI HPP" LLC

ს/ გარემოს ეროვნული სააგენტო
„16" 03 2023
№ 2208